ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 371

“ 8 ” დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

“ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 36916 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.135) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმისთვის“ (ს/კ: №404984497) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობის დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის“ (ს/კ: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ და „დ.ზ“ ქვეპუნქტების, 127² მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის №40.06.874 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის“ (ს/ნ: 404984497) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის №20.1335.1654 განკარგულების შესაბამისად, შევიდეს ცვლილება, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 36916 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.135) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმისთვის“ (ს/კ: 404984497) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №355 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის საფასური სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, საიჯარო ურთიერთობის დაწყებიდან მის დასრულებამდე.“

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 36916 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.135) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმისთვის“ (ს/კ№404984497) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის №40.06.874 განკარგულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების 22-ე მუხლის შესაბამისად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის“ (ს/კ: 404984497) გათავისუფლების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**